## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება № 01-05-04/40

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

**სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან არსებული „საქართველოში ნარკოვითარების და დემოგრაფიული პრობლემების კვლევის და მონიტორინგის ცენტრის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას 2018 წლის 27 თებერვლის №01-09-33/463 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან არსებულ „საქართველოში ნარკოვითარების და დემოგრაფიული პრობლემების კვლევის და მონიტორინგის ცენტრის“ დებულების I მუხლის პირველ და მესამე პუნქტში წარმოდგენილი სახით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**